K 87
K 1a

საზოგადო საქმეები.

ერობა

(ЗЕМСТВО)

მისი დანიშნულება და წესდება

ნ. ნიკოლაძისა.

გამოცემული

ფ. ჯიჯინაძისაგან.

თბილისი, 1882.

ტ. დრევიჩის და არ. კალანდადძის სტამბა, ლორ.-მელიქოვის ქუჩ.

I.

სოფელი, მაზრა ⁊ სახელმწიფო.

ყოველი სახელმწიფო შემდგარია სხვა ⁊ სხვა ნაწილებიდგან, რომელთაც საზოგადოთ მაზრებს ეძახიან ⁊ ეს მაზრები, მათი მხრით სოფლებიდგან არიან შემდგარნი, რომელთაც სხვა-და-სხვა ოჯახების კრებას შეადგენს. სოფელში თითოეულ ოჯახს თავისი საკუთარი საჭირობა აქვს, თავისი ადგილ-მამული, თავისი საქმე, შემოსავალი ⁊ სარჯი. ამ სარჯს გარდა, ყველა ოჯახებს, რომელნიც კი სოფელს შეადგენენ, აწევს კისერზე მთელი სოფლის საჭირობა: ამ ოჯახებმა უნდა იზრუნონ სოფლის საერთო საქმეებზე, უნდა მოაგროვონ ⁊ დახარჯონ საერთო სარჯი, ერთად უნდა მმართონ მთელი სოფლის საქმეები. ხშირად თვითონ სოფელსაც აქვს თავისი საკუთარი, ესე იგი, ყველა კერძო ოჯახების საზოგადო ადგილ-მამული, ტყე, სათიბი ⁊ სხვ. რომლის შემოსავალი ⁊ გამგეობა მთელ სოფელს ეკუთვნის. ამის მსგავსად მაზრას, ესე იგი რამდენიმე სოფლების კრებას, აქვს თავისი საკუთარი საქმეები, მამულები, საჭირობა ⁊ სარჯი, რომელიც საზოგადოა ყველა იმ სოფლების, რომელნიც ამ მაზრას შეადგენენ.

ამისგე მსგავსით მთელ სახელმწიფოს, რომელიც შემ-
დგარია რამდენიმე მაზრის კრებიდგან, თავისი საკუთა-
რი საქმიროება, მამულები ⁊ საქმეები აქვს, რომელნიც
ეგრეთვე საზოგადო არიან ყველა კერძო მაზრების, რომ-
ლებიდგანაც შემდგარია მთელი სახელმწიფო.

თანასმად ამ განყოფილებისა ეოველ სახელმწიფოში
საზოგადო გამგეობა იყოფების ამ ნაწილთ:

1) სოფლის (⁊ მის მსგავსით ქალაქის) გამგ ე-
ობა, რომლის დანიშნულება მდგომარეობს სოფლის
საქმეების მმართველობაში, სოფლის შემოსავალის შეკრებაში
⁊ მისი საქიროების დაკმაყოფილებაში:

2) მაზრის (გუბერნიის ⁊ უეზდის) გამგეობა,
რომელიც ყურს უგდებს სოფლების გამგეობებს ⁊ თან
იმ საქმეებს მმართავს, რომელნიც შეესებიან საზოგადო
ყველა ამ მაზრის სოფლებს, ან რამოდენიმეს იმათგანს;

3) სახელმწიფო გამგეობა, რომელიც ზედა-
მხედველობს მაზრების გამგეობაზე ⁊ იმას გარდა ყურს
უგდებს ⁊ მმართავს იმ საქმეებს, რომელნიც შეესებიან
საზოგადოთ ყველა ამ სახელმწიფოს მაზრებს, ან რამოდე-
ნიმეს იმათგანს.

სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში ეს გამგეობანები სხვა-
და-სხვა ნაირათ არიან გამართული, სხვა-და-სხვა გვარ
უფროსების ან ამორჩეულ პირების ხელში არიან, მაგ-
რამ ეეველგან კი საზოგადო გამგეობა მტკიცეთ განსა-

ზღრუული ჯ განყოფილია ამ საქ ნაწილათ, ესე იგი სოფლის, მაზრის ჯ სახელმწიფო გამგეობათ.

II.

მგელი და ახალი წესი გამგეობისა რუსეთში.

ამ უკანასკნელ დროიდი რუსეთში ეს საქმეე გამგეობა ერთ ჯ იმავე კალაპოტზე იყო გამოწყობილი. სახელმწიფო გამგეობა ექუთვნიდა, როგორც ეხლაც ექუთვნის ხელმწიფეე იმპერატორს; მაზრის გამგეობა ებარა მისგან დაყენებულ გუბერნატორებს, და სოფლის გამგეობა გუბერნატორისგან დანიშნულ ჩინოვნიკებს. სოფლებში ეს ჩინოვნიკები თავიანთ შეხედულებისამებრ მმართვიდენ სოფლის საქმეებს, და პასუხს უგებდენ მხოლოთ გუბერნატორებს; მაზრებში გუბერნატორები მმართვიდენ აგრეთვე თავიანთი შეხედულებისამებრ, და აგრეთვე ეკითხებოდენ ჯ პასუხს აძლევდენ მხოლოდ უმაღლესს მთავრობას... არც სოფლებს, არც მაზრებს არავინ ეკითხებოდა მათი საქმეების მმართვაში, ჯ იმათ არავერი უფლება არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, მსედველობის, საჭიროების ჯ სურვილის გამოსათქმელათ. მიღებული იყო, რომ სოფლების, მაზრების ჯ საზოგადოთ მათი მცხოვრებლების მაგიერ თიქრობდენ, მოქმედებდენ ჯ

ზრუნავდენ დაუენებული ჩინოვნიკები, რომელნიც თავიანთ თავს მამებათ რაცხდენ, ⁄ — როგორც მამები — არავერ რჩევას არ ჭკითხავდენ ⁄ ანგარიშს არ აძლევდენ თავიანთ მორჩილ შვილებს, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ ბერებს...

ღვთის მადლით ამ უკანასკნელ დროს ეს მდგომარეობა საუკეთესოთ შეიცვალა. როგორც ნათქვამია 1 იანვარის 1864 ის უკაზში, ხელმწიფე იმპერატორმა «საკრებოთ სტნო მიეწოდა ადგილობრივი მცხოვრებლები, მათგან აღრჩეული პირების საშუალებით საძართველოთ თითოული გუბერნიის ⁄ უეზდის საქმეებისა, რომელნიც შეესებიან ადგილობრივ საკრებებს ⁄ საბჭოებს» ⁄ ამ მიზნით სოფლის გამგეობა გარდაეცა სოფლის მცხოვრებლებისაგან აღმორჩეულ მამასახლისებს, მსაჯულებს ⁄ კეთილ-სინიდისიანებს, ⁄ მაზრის გამგეობა — მაზრის მცხოვრებლებისგან აღრჩეული დეპუტატების კრებას, რომელსაც ჭკვია ერობის კრება. — *Земское Собраніе.*

ხელმწიფე იმპერატორისაგან დამტკიცებულ 1 იანვარს 1864 წ. სახელმწიფო რჩევის აზრში იპოვება ერთი მუსლი, მესამე, რომელშიაც ნათქვამია, რომ შინაგანი საქმეების მინისტრმა უნდა შეკრიბოს ცნობა, ადგილობრივი მთავრობის გამოკითხვით, თუ რა გზით ⁄ წესით შეიძლება «ერობის წესდების» გამოყენება იმ მაზრებში, რომელნიც განსაკუთრებითი წესით იმართვიან

(ესე იგი ბოლშაში, ფინლიანდიაში, ციმბირში ⁊ ჩვენში), ⁊ წარუდგინოს სელმწიფე იმპერატორს თავისი აზრი ამ საგანზე.—მაშასადამე ჩვენ შეგვიძლიან იმედი ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გვეღირსება ეს ბედნიერება; ამისკენო, ⁊ ზოგი სხვა მიზეზითაც ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენი მკითხველები «ერობის წესდებას», მის დანიშნულებას, სასიათს, საჭიროებას ⁊ სარგებლობას. რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ აქ არც იმის გამოკვლევას შეუდგებით, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს წესდება შემოიღეს რუსეთში, არც იმისას, თუ რა მსრით ეთანხმება ეს წესდება სამზღვარ-გარეთელ სახელმწიფოების წყობილებას ⁊ რომლით არა, არც იმისას, თუ რა საკლულევანება შეეძნევა ამ წესდებას. ეს საგანი «ჩვენი საქმე არ არის» ⁊ არც საჭიროა ჯერ-ჯერობით მისი გამოკვლევა. ჩვენთვის ესლა-სანს აუცილებლათ საჭიროა ⁊ საკმაოდ არის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ის წესდება, რომელიც რუსეთში მოქმედებს აგერ ექვსი წელიწადია, ⁊ რომელსაც იქ ეძახიან «ერობის წესდებას 1 იანვრის 1864 წლისა». *(Положеніе о земскихъ учрежденіяхъ 1-го января 1864 года).* ამ წესდების გამოკვლევას ⁊ გამოკრებით თარგმნას შეუდგებით ჩვენ ესლა.

მაგრამ, მინემ ჩვენ ამ საქმეს სელს მოვკიდებთ, ტოტალი დაწერილებით უნდა გავიხსენოთ, რა ⁊ რა საქმე ითვლება საზელმწიფო საქმეთ, ⁊ რა ⁊ რა საძიზროთ, საერობოთ.

III.

სახელმწიფო და სამაზრო საჭიროება და შეკმა-საკალი.

სახელმწიფო არის კაცების კრება, შემდგარი მარტო იმისთვის კი არა, რომ მოავრებს მიუოვისებიათ ზოგიერთი უფლებები ან დაუმორჩილებიათ ასლო-მასლო მცხოვრებლები ან სალხები. არა. ამ კრების საფუძველი, სიმაგრე ან ნამდვილი, ბუნებითი მიმზიდველი ძალა ის სიყვარულია, რომელსაც ჭეშებენ ერთად შეყრილი პირები ერთმანეთის დაცვაში, დასმარებაში ან ერთად ცხოვრებაში. ყოველთვის ან ყოველგან სახელმწიფოს მიზანთ ჭეშნია ადვილად დაიცვას ან ადვილთ აცხოვრის ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარია. ამის გამო, ის სახელმწიფო, რომელიც უფრო სინიდისიანთ ან ნამდვილთ, სეირიანთ ასრულებს ამ თავის დანიშნულებას, უოთილა უფრო ძლიერთ დამყარებული საზოგადო დასმარებაზე ან სიყვარულზე, ან ის სახელმწიფო კი, რომელსაც ეს მიზანი დაუვიწყნია, მიასლოვებულა თავის დაღუპვას, გადადგომია თავის მოვალეობას.

მაშასადამე, სახელმწიფოს ეჭვს მოვალეობა დაიცვას თავისი წევრები, ესე იგი გერძო პირები, და გაუადვილოს მათ ცხოვრება, ესე იგი მისცეს თვითოეულს მათგანს ის, რისაც მოხერხება იმას თავის თავთ არ შეუძლია.—როგორც წინეთ ნათქვა-

ში იყო, ეს მოვალეობა განყოფილია სამ ნაწილათ: რისიც მოსერსება არ შეუძლია თითოეულ კერძო პირს,—მაგალითათ პატარა გზის ან სიდის გაკეთება ერთ სოფლითგან მეორემდი—იმას აკეთებს მთელი სოფელი ერთათ; ან ამ ნაირათ რისიც გაკეთება ან მოსერსება მთელ სოფელს შეუძლია, ის, მის მოვალეობას შაადგენს, როგორც კერძო პირის მოვალეობაა ის რისიც მოსერსება იმას თვითონ მარტო-სელა ან თავის ოჯახის დასმარებით შეუძლია.—ამას გარდა არის ბევრი ისეთი საჭიროება, რომლის დაკმაყოფილებას ვერ ასერსებს ვერც მთელი სოფელი: მაგალითათ ავიღოთ ერთი ქალაქიდგან მეორემდი, კოქვათ ქუთაისიდამ თბილისამდი, გზის გაჭრა, ან ხერიანი საავთომყოფოს ანა ან სასწავლებლის გამართვა. ამ ნაირი საჭიროების დაკმაყოფილება არის მთელი მაზრის მოვალეობა, თუ ეს მაზრა იმოდენათ შემძლე ან მოსერსებულია, რომ თავის თავათ შეუძლია ამ მოვალეობის შესრულება. ან რისიც შესრულება ან დაკმაყოფილება არ შეუძლია არც კერძო პირს, არც სოფელს, არც მაზრას,—იმ საჭიროების დაკმაყოფილება აწევს ვალათ სახელმწიფოს. ესე იგი უველა მაზრების კრებას. ამ ნაირია, მაგალითათ, დიდი გზების გაკეთება, შუათანა ან უმაღლესი სასწავლებლების გამართვა, სწავლის წინ-წაწევა, მაზრების გამაგრება ან დაცვა მტრისაგან, ან სხვ. ან სხვ. ან სხვ.

რასაკვირველია, რომ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას

სჭირია საშუალება, თუალი, შრომა ჯ ძალა. ამისგამო სოფელი თავის მხრით ჭკრებავს ყველა კერძო პირებიდგან როგორც თულს, ისე პიროვან შრომასაც, როცა სოფელს რამე საჭიროების დაკმაყოფილება სჭირდება. ამ ნაირათვე ჭკრებს თულს ჯ შრომას მაზრაც, ყველა სოფლებიდგან, იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მაზრის საზრუნველო არიან ჯ სახელმწიფო, თავის მხრით, ჭკრებს როგორც თულს, ეგრეთვე პირად შრომას ჯ სალხსაც, იმ მოვალეობის ასაკსებლათ, რომელსაც ადგს იმაზედ ყველა მაზრების საზოგადო საჭიროება.—თანხმად ამისა, გარდასახადიც სამ ნაირია:

1) სასოფლო, 2) სამაზრო *(земскій сборъ)* ჯ 3) სახელმწიფო *(сборъ на государственныя потребности)*.

იმ წესდებებით, რომელნიც გამოიტენ 1863-ში და 1 იანვარს 1864 წელსა. ადგილობრივ მცხოვრებლებს მიეანიჭათ ნება თავიანთი სანდო პირების ამორჩევით შეკრიბონ სასოფლო ჯ სამაზრო გარდასახადი ჯ იზრუნონ იმ საჭიროების დაკმაყოფილებაზედ, რომელიც აწყვს სოფელს ჯ მაზრას. ჩვენ გვსურს ავწეროთ აქ ის წესდება, რომელიც შეეხება სამაზრო საჭიროებების მმართველს, საზოგადოებისგან ამორჩეული პირების ხელით.

IV

რაზე უნდა იზრუნოს ერობამ!

«ერობაზე წესდების» მეორე მუხლი ამ რა და რა საქმეებზე ზრუნვას, ანდობს ერობის-ამორჩეულ პირებს:

1) ერობის ქონების, კაპიტალის და შეკრებილი თუ-ლის მმართვა;

2) აშენება და შენახვა შენობების, რომელნიც ერობას ეკუთვნიან, და იმ გზების, რომელნიც მის სარჯით უნდა ინახებოდენ;

3) ზრუნვა ხალხის შიმშილისგან დამტვერ ღონისძიებებზე;

4) მმართვა ერობის ქვეშის მოქმედი გაწყობილებისა (საავადმყოფო, საღარიბო, მოხუცებულების მიმფარველი სახლების და სხვ.) ღონისძიება მაითხოვრობის მოსასპობლათ, ზრუნვა ეკეკლესიების გაშენებაზე;

5) მმართვა იმ საქმეებისა, რომელნიც შეეხებიან ურთიერთის საშუალებით ტეტხლის ზიანის მოსპობას;

6) ზრუნვა ადგილობრივი ვაჭრობის და წარმოების გავრცელებაზე;

7) წლის მილება (განსაკუთრებით შემოსავალ-გასავალში, და კანონით დაწესებულ საშზღვრებში), ზრუნვაში სახალხო განათლებაზე, სახალხო სიმრთელეზე და საშუალებილებზე;

8) დახმარება პირუტუკის ჭირის დასწრობაში და ბურის, ან სხვა მტენარეების დატვაში სხვა და სხვა საკნებელი მეურინეულებისგან და პირუტუკებისგან;

9) აღსრულება იმ მოთხოვნილებების სამოქალაქო
ჯ სამსჯდრო მთავრობისა, რომელნიც კანონით ერობას
უნდა გარდაეცადოს, ჯ მონაწილეობა ფოხტის გარდა-
სახადში;

10) განაწილება იმ სახელმწიფო ფულის გარდასა-
ხადისა, რომლის განაწილება გუბერნიებს ჯ უეზდებს
შუა მიენდობა ერობას, თანხმად ამ საგანზე გამოცე-
მული კანონების ან ცალკე განკარგულების, დამტკიცე-
ბულის ხელმწიფეს იმპერატორისგან;

11) დანიშვნა, განაწილება, მოკრეფა ჯ დასარჯვა,
«საერობო გარდასახადის წესდების» თანხმად, ადგილო-
ბრივი გარდასახადისა, გუბერნიის ან უეზდის საერობო
მოთხოვნილების. დასაკმაყოფილებლათ;

12) წარდგენა უმაღლეს მართებლობასთან, გუბერნიის
მთავრობის საშუალებით, ცნობების ჯ აზრისა იმ საგნებ-
ზე, რომელნიც შეეხებიან გუბერნიის ანუ უეზდის ადგი-
ლობრივ სარგებლობას ჯ საჭიროებას ჯ თხოვნა ამ
საგნებზე, ეგრეთვე გუბერნიის მთავრობის საშუალებით
წარდგენა, უმაღლესი მმართებლობის ან გუბერნიის მმარ-
თველის მოთხოვნაზე, იმ ცნობების, რომელნიც შეეხე-
ბიან საერობო პატრონობას;

13) კენჭის ყრა სხვა ჯ სხვა პირების ამოსარჩევად
საერობო სამმართველოებში ჯ დანიშვნა ფულების ამ
სამართველოებისთვის;

ჯ 14) ის საქმეები, რომელნიც მიენდვებიან ერობას

თანხმად ტალგე კანონების, წესდებების ⁊ განკარგულებებისა.

V.

ერობის კრება და გამგეობა

ოთხელ უეზდში უნდა იკრიბებოდეს, წელიწადში ერთხელ, ოქტომბრამდი, უეზდის საერობო კრება *(уѣздное земское собраніе)*, რომელიც შესდგება ამორჩეულ პირებისგან. იმათი რიცხვი სხვა ⁊ სხვა უეზდებში სხვა ⁊ სხვაა, ⁊ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი პირია უეზდში იმისთანა, რომელსაც დეპუტატების ამორჩევის უფლება აქვს.

ეს კრება გაგრძელდება ათი დღე.

დანარჩენ დროს საერობო საქმეს მმართავს უეზდის საერობო გამგეობა *(уѣздная земская управа)*, რომელსაც ამოირჩევს ამ საგნისთვის საერობო კრება, ⁊ რომელიც შესდგება სამი პირიდგან—ექვსამდე.

ოთხელ გუბერნიაში უნდა იკრიბებოდეს, აგრეთვე წელიწადში ერთხელ, იანვრამდი, გუბერნიის საერობო კრება *(губернское земское собраніе)*, რომელიც შემდგარია უეზდების კრებისგან ამორჩეული დეპუტატებისგან. ეს კრება გრძელდება ოცი დღე.

დანარჩენ დროს გუბერნიის საერობო საქმეებს მმარ-

თავს გუბერნიის კრებისგან ამორჩეული გუბერნიის საერობო გამგეობა (*губернская земская управа*).

თუ კინტობა, უეზდის კრებამ ათ დღეში, ან გუბერნიისამ ოც დღეში თავიანთი საქმეები ვერ მოასრულეს, მაინ თხოვნით შეიძლება ვადის გაგრძელება: უეზდის კრების გაგრძელება შეუძლია გუბენატორს, ან გუბერნიისა—შინაგანი საქმეების მინისტრს. ამავე მინისტრს ნება აქვს დანიშნოს კრება უდროო დროსაც, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

უეზდის ან გუბერნიის გამგეობა კი მუდამ უნდა მოქმედებდეს.

კრების წევრებს არც ჯამაგირი ეძლევათ, არც ჯილდო, მაგრამ კრებას შეუძლია შესაფერი ჯამაგირი ან ჯილდოც დაუნიშნოს უეზდის ან გუბერნიის გამგეობის წევრებს.

უეზდის ან გუბერნიის კრებაში თავ-მჯდომარეთ, საზოგადოთ, უეზდის ან გუბერნიის მარშლები არიან — გამგეობებში კი თავ-მჯდომარეს ნიშნავს თვითონ კრება, რომელიც ირჩევს გამგეობას..

VI

ამომრჩევლები და ამორჩეულები

ერობის კრებას შედგენენ სამ გვარი დეპუტატები:

1) ადგილობრივი მამულის მეპატრონეების ამორჩეული;

2) ქალაქების საზოგადოებისგან ამორჩეულნი;

ᲓᲐ 3) გლეხ-კაცების საზოგადოების ამონარჩევნი.

ამორჩეულ პირთა შეუძლია იყვეს ყოველი პირი, რომელსაც კი ამორჩევის დროს კენჭი აქვს.

კენჭი არ ერგება შემდეგ პირებს: ვინც ოცდა ხუთ წელზე ნაკლებია ხანით; ვინც სისხლის სამართალში იმყოფება; ვინც საზოგადოებისგან გამორიცხული არის, ᲓᲐ ვისაც ქვეშე ვრდომლობის ფიცი არ მიუღია.

კენჭი ერგება, თუ ზემოხსენებული დაბრკოლება არ ექნათ შემდეგ პირებს:

მამულის მეპატრონეებთან:

1) ვისაც უეზდში აქვს საკუთარი მამული, დაწესებული სიგრცის (ყოველ უეზდისთვის ცალკე ზომაა დაწესებული, 200 დესეტინიდან დაწყებული 800 ᲓᲐ მეტიც; რაც უფრო ძვირობს, რომელიმე უეზდში მიწა-წყალი, მით უფრო ნაკლებს ზომას თხოულობს კანონი);

2) ვისაც აგრეთვე უეზდში სხვა რამე უძრავი ქონება აქვს, ან განმართულება, ქარხანა, ᲓᲐ სხვა, ღირებული თუთხმეტ ათასს მანეთთა მაინც;

3) ვისაც ზემოხსენებულ ზომაზე ნაკლები მამული აქვთ უეზდში, მაგრამ ამ ზომის მეთორმეტდეი კი მაინც, იმათ შეუძლიან ერთათ შეიკრიბონ, ᲓᲐ ერთი კენჭი აქონიონ.

ქალაქების საზოგადოებისგან.

1) ვისაც საკუთრო მოწმობა აქვს;

2) ვისაც ქალაქის მიწაზე ქარხანა, ფაბრიკა ან სხვა გაწყობილება აქვს, მწარმოებელი, ან საკუთრო რომლისაგან მიცემა წელიწადში ექვსი ათას მანეთს მაინც შადგენს;

3) ვისაც ქალაქის მიწაზე უძრავი საკუთრება აქვს, დაფასებული: იმ ქალაქებში სადაც ათი ათას კაცზე მეტი სცხოვრობს—სამი ათას მანეთათ მაინც; სადაც ორი ათასიგან ათი ათასამდე კაცი სცხოვრობს ათას მანეთათ მაინც, ან უველა დანარჩენ ქალაქებში—ხუთას მანეთათ.

სოფლის მცხოვრებლებისგან:

ყოველი სოფლის საზოგადოება ირჩევს თავის წრისგან სანდო პირებს, ან როცა სხვა-ან-სხვა სოფლებისგან ამორჩეული სანდო პირები იკრიბებიან, ისინი თავიანთი მხრით ირჩევენ დეპუტატებს საერობო კრებაში.

საერობო კრებაში ამორჩეულ დეპუტატს კანონი აძლევს საბუთათ «სმოკანი» *(Гласный)*. ეს საბუთი ჰქვია უველა წევრებს, როგორც უეზდის, აგრეთვე გუბერნიის კრებისას. სმოკანების რიცხვი თითოეული გუბერნიის ან უეზდისთვის ინიშნება უმაღლესი მმართველობის გარდაწყვეტილებაში, იმავ დროს, როცა გამოდის ერობის დაწესების ბრძანება.

VII

ერობის უფლება და მოქმედება.

ერობას მინიჭებული აქვს ო�ქმის სრული უფლება ადგილობრივი შინაური გამგეობისა. კანონი თვითონ იხსენიებს იმ ორიოდე საგანს, როცა ერობის გარდაწყვეტილებას ეჭირება გუბერნატორის ან შინაგანი საქმეების მინისტრის ნების დართვა. დანარჩენ საქმეებში ერობა სრული მეფეა თავისი მოსაზრების ან მოქმედების, რასაკვირველია კანონიერ კალაპოტში.

ვინიცობაა თუ გუბერნატორი წინააღმდეგი გახდა ერობის რომელიმე გარდაწყვეტილებისა, იმან უნდა დაუბრუნოს ერობას მისი გადაწყვეტილება, ან წინადადება მისი ხელ ახლა განხილვა. თუ ერობა ხელ-მეორეთ უწინდელ გარდაწყვეტილებას დაადგა, მაშინ ეს გარდაწყვეტილება აღსრულებაში უნდა მოიყვანონ ან გუბერნატორს მისი დაბრკოლება არ შეუძლია, თუ მეტის მეტი შესანიშნავი შემთხვევა არ იქნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იმას შეუძლია თავის საკუთარი პასუხის-გების ქვეშ შეახეროს ერობის გარდაწყვეტილების საასრულეში მოყვანა ან წარუდგინოს საქმე სენატს. —სწორეთ ამნაირათვე უნდა მოიქცეს შინაგანი საქმეების მინისტრი, როცა ის რასმეში ვერ დეთანხმება ერობას.

აქედან ნათლით სჩანს, რომ ერობას შეუძლია მოქმედება; იმას ბევრით უფრო მეტი უფლება აქვს, ვინემ უწინდელ დეპუტატებს ან სხვ. ამ უფლებას ჩვენ უფრო

კარგათ მაშინ დავათვალებთ, როცა მოვისსენიებთ, რომ ერობას შეუძლია გუბერნის ან უეზდის სასელოთ კაცი აიღოს, შეუძლია ბანკის დაარსება, რკინის გზების გამართვა თავის საკუთრებათ, ან აქციების გამოცემით, შეუძლია გამოსცეს წესდება ან სხვა ან სხვა საჯელმძღვანელო დარიგება ერობის საამსახურის ასრულებაზე, შეუძლია მიაწვინოს უმაღლეს მართებლობამდი თავისი სურვილი ან მოაზრება ადგილობრივ მდგომარეობაზე ან საზოგადოთ ყველა იმ ღონისძიებებზე, რომელნიც მისთვის მიცემულ უფლებას გადააჭარბებენ.

ყველა ადვილათ მისცდება, რომ ჩვენ მდგომარეობაში ყველა ეს უფლებები ძლიერ შესანიშნავი ან სანდომი არიან. ან ეს მათი ღირსება ჩვენ თვალში უფრო გადიდდება, როცა ჩვენ გაგისსენებთ, რომ ერობის ყველაზე უფრო უმვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვაკეთებინებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე ვკვდის ან ეს გარემოება, მარტო ეს,—ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავიიწყოთ!—გვამადლებს კაცების სარისსზე, ადამიანის ღირსებას გვაძლევს ან გვაჩვევს უმეჯობეს, კაცურ ცხოვრებას.

VIII

ერობის გავლენა რუსეთში.

როგორც წინათ იყო ნათქვამი, ჯერ ექვსი წელიწადიც არ არ არის, რაც ერობა შემოღებულია რუსეთში;

ზოგიერთ გუბერნიებში ის მარტო შარშან ან შარშანწინ შემოიღეს, ზოგიერთებში კი ჯერეთ შემოღებული არ არის. მაგრამ ამ მოკლე სანშიაც აღმოჩნდა, რომ ეს დაწესებულება მეტის მეტი სასარგებლოა საზოგადოებისთვის, თუ თვითონ, ეს საზოგადოება წინ დასედვით ან გონიერად ირჩევს თავის წარმომადგენლებს სეირიანი კაცების ხელში, როგორც გვიჩვენებს რუსეთის მაგალითი ერობა სალხის გამბედნიერებელია, მართალია იმ ზომით კი არა, როგორითაც შეიძლება ამისი სურვა, მაგრამ შესამჩნევათ კი მაინც.

ჯერ ერთი ეს, რომ უწინდელ დროში რუსეთში ერობის გარდასახადი იკრიბებოდა ან იხარჯებოდა უგზო-უკვლოდ, დაუზოგველათ. — არა-ვის არ ეკითხებოდა, მართლა ამდენი უნდა გარდიხადოს მაზრამ, თუ ნაკლები, არავის იმის დარდი არ ჰქონდა, რომ ცოტოდენი რამ მაინც მოერჩინა დახარჯვისაგან. ან ის ბირები, რომელთაც ერობის ფული ან საქმეები მთავრობიგან მიბარებული ჰქონდათ, გაუკითხავათ აგმაყოფილებდნენ ყოველ-ნაირ მოთხოვნილებას, რომელსაც კი წარმოადგენდა სამოქალაქო ან საძსედრო ნაწილის მთავრობა. ან თუმცა ხარჯი დიდი ან უზომო იყო, თუმც გარდასახადის მოკრება თითქმის ნიადაგი იყო, მაზრის კეთილ-დღეობას ამისგან არაფერი სეირი არ ეტყობოდა: საავთმყოფოები, სასწავლებლები, ბურის მაღაზიები, გზები ან სხვა სასარგებლო საგნები მეტის-მეტად სუსტ მდგომარეო-

ბაში იუკნენ; სასოფლო ჯ სამაზრო ბანკებზე, საქმიო ნაწილის სეირიანთ გაწყობაზე, ფულების შეგროვებაზე სხვა ჯ სხვა საჭიროებისათვის, სომ არავის სიზმარშიაც არ მოსჩვენებია ჯ ეოველი კერძო პირი დასტქერდა ამ საამწყესარო მდგომარეობას გულ გრილათ ჯ უნებურათ, თითქო ეს საქმე თვითონ იმას ჯ მის მახლობლებს არ შეეხებოდა....

ეხლანდელ მდგომარეობაში კი ჩვენ სულ სხვა ნაირ, უფრო სასიამოვნო სურათებს ვხედავთ ჯერ ერთი ეს, რომ გადასახადს რომ იხდის სალსი, იტყობს მაინც, თუ რაში ჯ რისთვის იხდის, სად ჯ ვის სასარგებლოთ მიდის ეს ფული, იცის მაინც, რომ მის ფულის დასარჯვაში სმა ჯ გავლენა ექნება მის ამორჩეულებს, ესე იგი თვითონ იმას. ამას გარდა, საზოგადოებას შეუძლია იმ რიგად ისარჯოს შეკრებილი ფული, რომ ამითი დაკმაყოფილოს თავისი უპირველესი საჭიროებები, გზა გაუხსნის თავის შრომას, სეირიანთ აღზარდოს თავისი შვილები ჯ სხვ. — რუსეთში, მაგალითად, ერობის ხელშია უთვალავი სასალსო შკოლები, რომლის გამართვას აუვიდა უწინდელ ზომაზე შეკრებილი საერობო გარდასახადი. ეს შკოლები იმ რიგად არიან გაწყობილნი, როგორც მოუნდომებია თვითონ ერობას ჯ მათში ასწავლიან ერობისგან მოძენილი ჯ დაქირავებულნი მასწავლებლები. — შკოლებს გარდა, ერობას, ზედამხედველობა აქვს სასალსო პურის მაღაზიებზე, რომლის

დანიშნულება ისაა, რომ შიმშილის ან ბურის ნაკლულეკანების დროს სული გაუწყოს გაჭირვებულს სალხს ან ასესხოს იმას დასათესი მარცვალი ან საჭმელი ბური. შიმშილის დროს ერობას სხვა უფლებაც აქვს: იმას შეუძლია მიიღოს შინაგანი საქმეების სამინისტროდან ნაღდი ფული იმ ფონდიდან, რომელიც დანიშნულია დამშეულების დასახმარებლათ; ნება აქვს იყიდოს სადაც მოუხდება ამ ფულით ბური, ან გასცეს ის სესხათ თავის მაზრის მცხოვრებლებზე. როცა რუსეთში 1868 შიმშილი იყო, ერობამ ამ ნაირი მოქმედებით ბევრ ალაგს მშვენიერი სასელიც დაიმსახურა ან ჩინებული საქმეებიც მოახდინა.

ერობას ეკუთვნის, გზის გარდა, სასალხო სიმრთელეზე ზრუნვა. რუსეთში ერობა იმით ასრულებს ამ მოვალეობას, რომ იავ თვასიან ათეთიაკებს აწესებს დიდრონ სოფლებში ან იქედან ათვათ ალლევს წამლებს შეუძლებელ მცხოვრებლებს, ლარიბებს კი სულ მუქთათ ან უფასოთ ურიგებს. ამაკე სოფლებში ერობას დაყენებული ჰყავს თავის სარჯით ექიმები ან ფერშლები, რომელნიც მოვალენი არიან უექიმონ უფასოთ ყველას, ვისაც კი იმათ მაზრაში ან წრეში ექიმობა სჭირდება. რუსეთის ერობა ჩინებულათ ან გონიერათ ირჩევს ექიმებს იმ უმაწვილებში, რომელნიც ოცველ წელიწადს სწავლას ასრულებენ უნივერსიტეტებში ან მედიკურ აკადემიაში, ან მშვენიერათ სარგებლობს მათი ჯერ კიდევ დაუვიწყარი ცოდნით.—

მაგრამ ერობის მოქმედება მარტო ამ წვრილმანი საქმეებით როდი თავდება. რადგანც «ერობის წესდება» ერობას მაზრის პატრონობის გამგეობას აძლევს — რუსეთის ერობა სხვა ჯ სხვა გუბერნიებში ჩინებულ ბანკებს აწესებს (საერობო ბანკებს), რომლის შემწეობით მაღლდება ჯ ვრცელდება ადგილობრივი მეურნეობა ჯ აღებ-მიცემა. რადგანც ამ ბანკების დამფუძნებელი ჯ გამგებელი არის მთელი მაზრა, იმათ მეტი ნდობაც ჯ უფლებაც აქვთ, ჯ ამის გამო, თუმც მათ დასაწყისში ძლიერ ტოტა ფული აქვთ, მაგრამ მათი აღებ-მიცემა რამდენიმე მილიონამდი იწევს, ჯ მათი საბუღალტრო ჯ ხელი ორ-ჯერ-სამჯერ, ჩანდისანი მეტჯერაც აჭარბებს წინ დაწინ გამოღებულ საბანკო ფულს. ზოგიერთი საერობო ბანკების მოქმედება ისე საგანგებო ჯ ჩინებულია, რომ ეხლა მთელ რუსეთს ისინი მაგალითად აქვს მიღებული. ამ ნაირია, მაგალითად, სერსონის საერობო ბანკი, რომელმაც სული ჩაუდგა ხერსონის აღგილის მეპატრონეებს ჯ მცხოვრებლებს.

საერობო ბანკის გაწყობაზე აქ ჩვენ ბეკრს არას ვიტყვით, ამიტომ რომ ამ მოკლე ხანში ამ საგანზე ცალკე წიგნის დაბეჭდვას ვაპირებთ, შესახებ ჩვენი ბანკებისა.—

რუსეთის ერობამ ერთ საქმეში კიდეკ ისახელა თავი: რაკი ის ხედავდა, რომ რომელიმე მაზრის კეთილ დღეობა ჯ საბუღალტრო იმაზეა დამყარებული, გადის თუ

არა იმ მაზრაში რკინის გზა ან აქვს თუ არა იმ მაზრას ხეირიანი გზები, ადგილობრივი საწარმოების გასაზიდველათ, ან რაკი ერობა ხედავდა, რომ არც რკინის ან არც უბრალო გზები ზეციდან დამზადებული არ ცვინდებოდეს მაზრაში. იმან იკისრა ერობის ხარჯით გზების გაკეთება, როგორც უბრალოების, ეგრეთვე რკინისა. რასაკვირველია, რომ, ჩვენში არ იყოს, ამ საქმისთვის რუსეთის ერობას საკმაო თუალი არ მოეძიებოდა მაგრამ, რადგანც კანონი იმას საერობო გარდასახადის მოხმარების უფლებას აძლევს, ერობამ აი რაგორი უბრალო ან გონიერი ოსტატობა იხმარა, რკინის გზის გასაკეთებათ. იმან გამოძებნა თუალის პატრონები, ან უთხრა მათ: გაკეთეთ ამ ქალაქიდგან ამა ან ამამდი რკინის გზა, ან ამუშაკეთ თქვენოვის ამდენი ან ამდენი წლის განძვლობაში; მოგვეცით ჩვენ მაშინ ანგარიში, ან თუ ამ გზამ თქვენ სარგებლობა არ მოგცესთ, ჩვენ, ერობა, მოვალე ვიქნებით შეგივსოთ თქვენი სარგებელი ისე, რომ თქვენგან დასარჯულ თუალებზე წელიწადში ხუთი პროცენტი შემოგდიოდესთ. —ამისთანა გარანტიას ძლიერ ხშირათ აძლევს თვითონ მართებლობაც; ერობამ ამ გარანტიის მიცემით ძლიერ ბევრ თუალის პატრონებს გაუბედვინა რკინის გზის გაშენება იმისთანა ადგილებში, სადაც უიმისოთ თავის დღეშიაც არ გაშენდებოდა რკინის გზა. ან რადგანც გზები შემოსავლიანი გამოდგენ ან გამშენებლებს ხაკმაო სარგებელი მისცეს, ერობას თითქმის არ-

სად ფულის გამოღება არ დასჭირდა დაბირებული სარგებლის შესაგებლით.

ზოგ ადგილას, ერობა თვითონაც შეუდგა რკინის გზის შენობას, ან კ მმართებლობისაგან გზის გაშენების ნება (კონცესსია) აიღო, კ მერმე გაუიდა ეს კონცესსია ფულის პატრონებზე, ან კ კიდევ რკინის გზის მშენებლების ამსანაგათაც გახდა, ერთი სიტყვით, რუსეთში ერობამ თავი გამოიჩინა, უმეტეს ნაწილათ, როგორც ყირიანმა კ გონიერმა მეპატრონემ, რომელიც კეთილ სინიდისიანათ კ მოხერხებით ცდილობს კ კიდეც ახერხებს სალხის დასხნას ორი მისი საგანგებო კ სარიადგათ მტრისაგან: სიღარიბისაგან კ უმეცრებისაგან.

IX.

დასკვნის მაგიერ.

მაშ, იმედი გიქონიოთ, რომ როცა ჩვენ ქვეყანასაც ეღირსება ერობის დაწესება, კ როცა საერობო საქმეების მმართვა თვითონ ჩვენ ხელში გადმოგვეცემი, ჩვენა საზოგადოებაც იმნაირივე სარგებლობას გამოიტანს ამ დაწესებისაგან, კ ამნაირივე გონიერებით მოიხმარს იმას, როგორც რუსეთის საზოგადოება. ერობის დაწესებამდი რუსული საზოგადოება ესლანდელ ჩვენ საზოგადოებაზე უფრო წინ არ იდგა; ის მაშინ უველას იმნაირივე მოუსერხებულ კ გაუნათლებელ საზოგადოებათ მიაჩნდათ, როგორათაც ესლა სთვლიან ჩვენ საზოგადოებას. —როგორც ფოველგან, ამ საქმეშიაც ვმიიედოთ, დამტკიცდება რომ მოსერხება კ განათლება მოსდევს სიმართლეების გავრცელებას, კ არა წინ უსწრებს მას.